ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 8-33

« 28 » აპრილი 2017 წ.

ქ. თბილისი

ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით და 43-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №11-44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით და 43-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №11-44 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 13/05/2015 სარეგისტრაციო კოდი: 020090000.35.101.016155) (შემდგომში - დადგენილება) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ".

2. დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე და 32-ე მუხლებით, 33-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე და 35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის

უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „თბილსერვის ჯგუფს“.

2. დამტკიცდეს ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე და 32-ე მუხლებით, 33-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე და 35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ (დანართი 1).“

3. დადგენილებით დამტკიცებული „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე და 32-ე მუხლებით, 33-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე და 35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 39-ე მუხლით და 43-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ (დანართი 1):

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე და 32-ე მუხლებით, 33-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე და 35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის –ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“;

ბ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე და 32-ე მუხლებით, 33-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე და 35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 39-ე მუხლით,43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. თანამშრომელი ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევის საქმეს და დამრღვევს ადგილზე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას), მიუხედავად იმისა, დამრღვევი ეთანხმება თუ არა მის მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობის ზომას.“;

გ) მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 პუნქტი:

„14. სამართალსუბიექტი უფლებამოსილია თანამშრომელი აღჭურვოს შესაბამისი ელექტრონული (ვიდეო/აუდიო) მოწყობილობით, რომლის მეშვეობით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსები დააფიქსირებს აღნიშნულ პროცესს, რის თაობაზეც წინასწარ აცნობებს სამართალდამრღვევს. ელექტრონული მოწყობილობით დაფიქსირებული ინფორმაცია (პერსონალური მონაცემები) დაცული უნდა იქნეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით და 43-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №11-44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

2016 წლის 24 ივნისს საქართველოს კანონში „ნარჩენების მართვის კოდექსი“ განხორციელდა ცვლილება (N 5563) და ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 47-ე მუხლის მე-12 ნაწილი, რითაც მუნიპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან მუნიციაპლიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ უფლებამოსილ პირს მიენიჭა ამავე კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება.

აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ (შემდგომში - კოდექსი) 47-ე მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, მუნიპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან მუნიციაპლიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ უფლებამოსილ პირს მინიჭებული აქვს ამავე კოდექსის 31-ე–35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საჭიროა „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით და 43-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №11-44 დადგენილებაში (შემდგომში - დადგენილება) განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის დადგენილების და ამავე დადგენილებით დამტკიცებული წესის იმ ნაწილებში, რომლებითაც განსაზღვრულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლებამოსილება კონკრეტული მუხლების დარღვევისათვის, სადაც ემატება კოდექსის 46-ე მუხლი.

წარმოდგენილი პროექტით, წესის მე-3 მუხლს ემატება მე-14 პუნქტი, რომლის თანახმადაც, სამართალსუბიექტი უფლებამოსილი იქნება თანამშრომელი აღჭურვოს შესაბამისი ელექტრონული (ვიდეო/აუდიო) მოწყობილობით, რომლის მეშვეობით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსები დააფიქსირებს აღნიშნულ პროცესს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა დადგენაც განსაზღვრულია სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის, ვიდეოფირით. ამავე, კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად მტკიცებულება ფასდება შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადმინისტრაციული ოქმის შედგენისას სამართალდამრღვევი არ უარყოფს მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, ხოლო მოსალოდნელი ადმინისტრაციული სახდელის თავიდან არიდების მიზნით, გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე ახდენენ ადმინისტრაციულ ოქმში დაფიქსირებულ სამართალდარღვევის ფაქტის უარყოფას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტით შპს „თბილსერვის ჯგუფისათვის" (ს/კ 206267494) კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების განხორციელებისას, შპს „თბილსერვის ჯგუფის" უფლებამოსილი თანამშრომელი აღიჭურვება შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობით, რომლის მეშვეობით იგი დააფიქსირებს სამართალდარღვევისას სახდელის დაკისრების პროცესს და ამის თაობაზე წინასწარ აცნობებს სამართალდამრღვევს. ელექტრონული მოწყობილობით დაფიქსირებული ინფორმაცია (პერსონალური მონაცემები) დაცული იქნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამართალდამრღვევის მიერ ადმინისტრაციული ოქმის გასაჩივრების შემთხვევაში ელექტრონული მოწყობილობით დაფიქსირებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება სასამართლოზე, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება.

ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებასთან დაკავშირებით შპს „თბილსერვის ჯგუფმა" (ს/კ 206267494) მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს და მათი 2016 წლის 23 დეკემბრის N PDP 2 16 00002465 წერილის შესაბამისად შეთანხმებულ იქნა ელექტრონული მოწყობილობის გამოყენების საკითხი.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.